ქ. თბილისის გლდანის გამგეობა

ქ. თბილისში, გლდანის რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე, სოფ. გლდანში გორაუბნის ჩიხების და ქუჩების გაგრძელების საკანალიზაციო ქსელების მოწყობის სამუშაოების ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

CPV 45230000

ქ. თბილისი
2014 წელი

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ “ შესაბამისად. იხ. ვებ. გვერდი http: /procurement.gov.ge/

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები:

ქ. თბილისში, გლდანის რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე, სოფ. გლდანში გორაუბნის ჩიხების და ქუჩების გაგრძელების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები:

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ ენობა
1	2	3	4
1	ასფალტობეტონის საფარის მონგრევა პნევმატური ჩაქუჩით დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა 15 კმ-მდე	მ2	10
2	თხრილის ან ქვაბულის გაჭრა ექსკავატორით	მ3	762,3
3	თხრილის ან ქვაბულის გაჭრა ხელით	მ3	135,35
4	თხრილის კედლების გამაგრება ხის მასალით	მ2	150
5	ქვიშის ბალიშის მოწყობა მილის ქვეშ სისქე 10 სმ/ან მილების დაფარვა ქვიშით სისქე 20 სმ დატკეპნა ვიბრო სატკეპნით K=1,12	მ3	300
6	ქვაბულის ძირის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ, დატკეპნა ვიბრო სატკეპნით k=1,22	მ3	7,2
7	კანალიზაციის პლასტმასის მილების მონტაჟი DN=100 მმ სისქით 3.2მმ (ყველა საჭირო ფასონური ნაწილების გამოყენებით)	გრძ.მ	259
8	კანალიზაციის გარე ქსელების გოფრირებული მილების მონტაჟი DN=150 მმ SN8 (ყველა საჭირო ფასონური ნაწილების გამოყენებით)	გრძ.მ	162
9	კანალიზაციის გარე ქსელების გოფრირებული მილების მონტაჟი DN=200 მმ SN8 (ყველა საჭირო ფასონური ნაწილების გამოყენებით)	გრძ.მ	507
10	თხრილის ან ქვაბულის შევსება ქვიშა- ხრეშოვანი ნარევით, ფენებად დატკეპნა ვიბრო სატკეპნით კ=1,22	მ3	677
11	არხული ნაწილის მოწყობა სულფატომედეგი ფხვნილის შემცველი მონოლითური ბეტონით მ:200	მ3	5,75
12	რკინაბეტონის ჭის გამონგრევა პნ.ჩაქუჩით კედლის წინასწარი დაბურღვის შემდეგ	მ3	0,78
13	გამონგრეული ადგილების გამონოლითება ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ3	0,32
14	რკინაბეტონის გადახურვის ფილის მოწყობა თუჯის ჩარჩო ხუფით D=1,0 მ ჭისთვის	ცალი	26
15	რკინაბეტონის მრგვალი ჭის ძირი D=1,0მ რგოლისთვის	ცალი	26
16	კანალიზაციის ჭის რკინაბეტონის რგოლები D=1000 მმ h=1000 მმ	ცალი	26
17	კანალიზაციის ჭის რკინაბეტონის რგოლები D=1000 მმ h=600 მმ	ცალი	3

18	კანალიზაციის ჭის რკინაბეტონის რგოლები D=1000 მმ h=300 მმ	ცალი	19
19	დარჩენილი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა 15 კმ-მდე	მ3	882

2.1.2 დამატებითი ინფორმაცია მოცემულია სქემატური ნახაზების სახით, რომლებიჩ ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად. სქემატურ ნახაზებზე მოცემულ ზომებში შესაძლებელია მცირედი უზუსტობები, რაც დაზუსტდება მშენებლობის პროცესში.

2.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2 (ორი) წელს.

2.4 გამოცდილება:

2.4.1 პრეტენდენტს 2012 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ 123000,0 (ას ოცდასამი ათასი) ლარის ანალოგიური (წყალსადენ-კანალიზაციის, ასევე სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია) სამუშაოების გამოცდილება (დანართი №2).

2.4.2 საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლის გამოცდილების დამადასტურებელი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, . . .).

2.5 სატენდერო წინადადების ფასი:

2.5.1. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.5.2. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში.

2.6 ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

2.6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ფორმა №2, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია და შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარების აქტი.

3. ანგარიშსწორება მოხდება მიმწოდებლის მიერ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარულ დღეში.

4. შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%–სა. (ავანსის საბანკო გარანტია 30(ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

2.7. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

1. რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით.
2. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილების შესახებ დანართი №2-ის მიხედვით.
3. შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი №3–ის მიხედვით.
4. ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადის შესახებ.

შენიშვნა:

1. *<u>წამოდგენილი დოკუმენტები უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ.</u>*
2. *<u>პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენა ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება შემსყიდველის ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტაციაში.</u>*

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ––– ––––––––––––– 2014 წ.
ერთის მხრივ
ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ
––––––––––––

მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;
3.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.
3.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტში აღნიშნული პირები.
3.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. ტექნიკური პირობები (სამუშაოს მოცულობის ჩამონათვალი)
4.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დოკუმენტაციის მე-2 პუნქტში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

5. სამუშაოს შესრულების პირობები
5.1 სამუშაო უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღე.
5.2 მიწოდების ადგილი – **ქ. თბილისში, გლდანის რაიონის შემოერთებულ ტერიტორია, სოფელი გლდანი, გორაუბანი.**

6. დაზღვევა
6.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
7.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფოერმებუის შემდეგ.
7.2. მიმწოდებელი ჩააბარებს შემსყიდველს შესრულებულ სამუშაოებს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა №2-ის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. სამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება მათი დამთავრების შემდეგ თანახმად ტექნიკური დავალებისა, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ:
ა) ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების თანამშრომელ(ებ)ი:
ბ) <u>შემსყიდველის მიერ დაქირავებული საექსპერტო ჯგუფი.</u>
7.4. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
7.5. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) დასრულების შემდგომ, შემსყიდველ ორგანიზაციაში ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შესყიდვის ობიექტის საბოლოო მდგომარეობის ფოტომასალა ბეჭდური სახით.
7.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8.ანგარიშსწორება და ვალუტა

8.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

8.2. გადახდის ფორმა – უნაღდო.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული სამუშაოებისათვის ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, 20 (ოცი) დღის ვადაში, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ფორმა №2, მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტი, საექსპერტო ჯგუფის მიერ შედგენილი და დამოწმებული აქტები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

8.4 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის და საბანკო გარანტიის საფუძველზე არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%–სა. (ავანსის საბანკო გარანტია 30(ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

9. ფასები

9.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

9.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

9.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12. სუბკონტრაქტორები

12.1. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

12.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. მხარეთა უფლება-მოვალეობები

14.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით

14.2 შემსყიდველი ვალდებულია:

14.2.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

14.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება

14.2.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

14.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

14.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

14.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

14.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

14.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

14.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

14.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

14.4.2 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

14.4.3 სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

14.4.4 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებლი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებლს.

14.4.5 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

14.4.6 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

14.4.7 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.
14.4.8 სამუშაოების დასრულების შემდეგ -------- წლის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მათი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;
14.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
14.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
15.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრუკლების შემთხვევაში (გარდა ვადების დარღვევისა) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **3**%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის **3**%-ის ოდენობით.
15.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადის გადაცილებით შესრულებული ნაწილის 0,2%–ის ოდენობით.
15.3 სამუშაოს დასრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
15.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.3 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
15.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილი უნდა იქნეს მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების გაგზავნიდან (წერილობითი ფორმით) 2(ორი) კვირის ვადაში.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
16.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
16.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.6 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) სამუშაოს დასრულების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.7 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება.

17. ფორს-მაჟორი

17.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

17.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

17.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

18. სადაო საკითხების გადაწყვეტა

18.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

18.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. გამოყენებული სამართალი

19.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

20. ხელშეკრულების ენა

20.1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

21. შეტყობინება

21.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის ან ელექტრონული შეტყობინების სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება

22. გადასახადები და დაბეგვრა

22.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

22.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

23. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

23.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია ————.

24. სხვა პირობები

24.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

24.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

24.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

24. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

24. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი**

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში: ქ. თბილისი, გლდანის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა - სარაჯიშვილის ქ.№1ბ საკონტაქტო პირი:

ნანა ლომჯარია ტელ: 577-23-70-75; 832-2-318-980.

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი ——————————————————

დანართი №2

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ

№	სამუშაოს დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება	ელ. ტენდერის SPAN№

- პრეტენდენტს 2012 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს მინიმუმ 123000,0 ლარის ანალოგიური სამუშაოების (წყალსადენ-კანალიზაციის, ასევე სადრენაჟე-სანიაღვრე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია) შესრულების გამოცდილება

- საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს მიმწოდებლის გამოცდილების დამადასტურებელი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

ქ. თბილისში, გლდანის რაიონის შემოერთებულ ტერიტორიაზე, სოფელ გლდანში გორაუბნის ჩიხების და ქუჩების გაგრძელების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების
ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოს დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ ენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მექანიზმები		ჯამი (ლარი)
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ასფალტობეტონის საფარის მონგრევა პნევმატური ჩაქუჩით დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა 15 კმ-მდე	მ2	10							
2	თხრილის ან ქვაბულის გაჭრა ექსკავატორით	მ3	762,3							
3	თხრილის ან ქვაბულის გაჭრა ხელით	მ3	135,35							
4	თხრილის კედლების გამაგრება ხის მასალით	მ2	150							
5	ქვიშის ბალიშის მოწყობა მილის ქვეშ სისქე 10 სმ/ან მილების დაფარვა ქვიშით სისქე 20 სმ დატკეპნა ვიბრო სატკეპნით K=1,12	მ3	300							
6	ქვაბულის ძირის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით სისქით 10 სმ, დატკეპნა ვიბრო სატკეპნით k=1,22	მ3	7,2							
7	კანალიზაციის პლასტმასის მილების მონტაჟი DN=100 მმ სისქით 3.2მმ (ყველა საჭირო ფასონური ნაწილების გამოყენებით)	გრძ.მ	259							
8	კანალიზაციის გარე ქსელების გოფრირებული მილების მონტაჟი DN=150 მმ SN8 (ყველა საჭირო ფასონური ნაწილების გამოყენებით)	გრძ.მ	162							

9	კანალიზაციის გარე ქსელების გოფრირებული მილების მონტაჟი DN=200 მმ SN8 (ყველა საჭირო ფასონური ნაწილების გამოყენებით)	გრძ.მ	507							
10	თხრილის ან ქვაბულის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, ფენებად დატკეპნა ვიბრო სატკეპნით კ=1,22	მ3	677							
11	არხული ნაწილის მოწყობა სულფატომედეგი ფხვნილის შემცველი მონოლითური ბეტონით მ:200	მ3	5,75							
12	რკინაბეტონის ჭის გამონგრევა პნ.ჩაქუჩით კედლის წინასწარი დაბურღვის შემდეგ	მ3	0,78							
13	გამონგრეული ადგილების გამონოლითება ქვიშა-ცემენტის ხსნარით	მ3	0,32							
14	რკინაბეტონის გადახურვის ფილის მოწყობა თუჯის ჩარჩო ხუფით D=1,0 მ ჭისთვის	ცალი	26							
15	რკინაბეტონის მრგვალი ჭის ძირი D=1,0მ რგოლისთვის	ცალი	26							
16	კანალიზაციის ჭის რკინაბეტონის რგოლები D=1000 მმ h=1000 მმ	ცალი	26							
17	კანალიზაციის ჭის რკინაბეტონის რგოლები D=1000 მმ h=600 მმ	ცალი	3							
18	კანალიზაციის ჭის რკინაბეტონის რგოლები D=1000 მმ h=300 მმ	ცალი	19							
19	დარჩენილი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა 15 კმ-მდე	მ3	882							
	ჯამი									
	ზედნადები ხარჯი	**%**								
	ჯამი									
	გეგმიური დაგროვება	**%**								
	ჯამი									
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	**%**	**5**							
	ჯამი									

	დ.ღ.გ.	%	18							
	სულ ჯამი									

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი ----------

შენიშვნა:

- ხარჯთაღრიცხვის შედგენისას იხელმძღვანელეთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანებით;
- გაუთვალისწინებელი ხარჯი– 5% არის უცვლელი.